# თეატრი და ცხოვრება

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას
თავისუფალ საქართველოში!

გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას!

„თეატრი და ცხოვრება“

წლიურად 25 მან., ნახევარ წლით 15 მან. თითო ნომერი—3 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. თბილისი, რედ. „თეატრი და ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილს.

1919 წ. № 1 კვირა, თებერვლის 2 ფასი 3 მან. წელიწადი მეშვიდე გამოცემისა

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლის ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ზე წლიური ფასი 25 მან.

ი-34



† ვალაერიან შალიკაშვილი 1874-1919



რუმინიაში მყოფი ქართველთა ლეგიონის ოფიცრები



რუმინიაში მყოფი ქართველთა ლეგიონერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძველი და ახალი

კაცსა თუ ქალს ახალ ტანისამოსს რომ ჩააცმევენ, ეტყვიან—ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროსო.

ასე მომხიბლავი და უკეთესი მომავალის მანიშნებელია ყოველივე ახალი.

ჩვენმა სამშობლომ უკვე ახალი სხეული შეისხა, ახალი ტანისამოსი ჩაიცვა და ჩვენც სრული უფლება გვაქვს მივულოცოთ: ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროსო...

მაგრამ ვიდრე ამას ვეტყოდეთ, საჭიროა გავითვალისწინოთ როგორი იყო მისი ძველი სხეული და ტანისამოსი.

სხეული ძველი რუსის ჯალათებისგან დაბეგვილ-დაჟეჟილი უფლება აყრილი და ნივთიერ ძალას მოკლებული, სული შერყვნილი, პარტიულად დაქსაქსული, ყოველი ჯურის ჩათუქესანთა ფეხ ქვეშ გაგდებული საკუთარის ძალის ურწმუნო... მართალია, სახელით იგი ვითომ ქართველობდა, მაგრამ საქმით ცხრამეათეჯერ სხვა იყო, სხვა ქურქ წამოსხმული, ვიდრე ნამდვილი ქართველი..და ამ სხვისი ქურქით სიარულმა და სხვისი აზრით სუნთქვამ კინაღამ კლდეზე გადაგვჩეხა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გარეგნულად საქართველოს დამოუკიდებლობაც კი გამოვაცხადეთ ..

ბევრი, ბევრი ბრძოლა და შეხლა შემოხლა განიცადა ჩვენმა სამშობლომ გასულ წელს,—შეიძლება ითქვას ასეთი ბრძოლა და სულიერი განცდა მთელი საუკუნის განმავლობაში არ შეხვედრია, როგორც გასულ წელს, და ბოლოს მაინც

„სინათლეჲ სძლია სიბნელეს!..''
არსება მისი გრძელია!"

დიაღ, სინათლემ სძლია სიბნელე..

გასული წლის მიწურულს, როდესაც ვერაგმა მეზობელმა, სომხეთმა, სამკვდრო სასიცოცხლო ომი დაგვიწყო ქურდულად, ჩვენი ერის გაერთიანებაც მოხდა, მთელი ქართველი ხალხი ფეხზე დასდგა, მუხანათ დამცემს მკერდი მიუშვირა და კუდით ქვა ასროლინა!

თვით სომხეთის მეგობრადაც მიჩნეულმა დიდმა ინგლისმაც კი ჩვენი სიმართლე იცნო და იმ დროს, როდესაც ჩვენი მამაცი ჯარი, საბოლოოდ მახვილის ჩაცემას უპირებდა გაუტანელ, უპურმარილო, კაენის მოზიარე სომხეთის მთავრობას, ინგლისმა შუამდგომლობით მახვილი ქარქაშში ჩაგვაგებინა...

და თუმცა ეს არ იყო სინათლის სიბნელეზე სავსებით გამარჯვება, მაინც გამარჯვება ჩვენ გვხვდა.

ეს მოხდა ქრისტიშობისათვის ღამის 12 საათზე.

ამ დღიდან იშვა ახალი საქართველო ქართველმა ერმა იცნო მტერი და მოყვარე, იცნო თვისი თავი, გაიგო თვისი ვინაობა! გაიგო ისიც, რომ იგი მარტოა ბრძოლის ველზე და თუ უნდა მტერთა მოგერება, მუდამ ფხიზლად უნდა იყოს, მახვილ მომარჯვებული, ამავე დროს ძმობა—ერთობის მტკიცე დამცველი, ვინც კი ამას შეიწყნარებს!..

ამიერიდან ჩვენ ახალი ტანისამოსი ჩავიცვით. მთელმა შეგნებულმა და მოწინავე ქვეყნიერობამ გაიცნო, შეიგნო ჩვენი სულიერი სიმტკიცე და სხეულებრივი სიძლიერე!..

მაშ ნურც ერთს ნუ მოვიდუნებთ!..

ამ რწმენით გილოცავთ ახალ წელს, ძვირფასო მკითხველნო... დაე, თუ წარსულში ბევრი რამ ნაკლი გვქონდა, მომავალში შეგვევსოს, თუ წარსულში ჩვენის საყვარელი სამშობლოს—საქართველოს მხოლოდ სხეული გამოისხა, აე მიმდინარე მისი სული განმტკიცებულიყოს და საერთაშორისო ოჯახის სრულუფლებიანი წევრი შექმნილიყოს, თავისიანთა საბედნიეროდ და მტერთა რისხვის მიმცემად!..

გაგიმარჯოს, ჩემო მკითხველო, და გაუმარჯოს საყვარელ სამშობლო საქართველოს!..

## მომილოცნია

შარშანდელ წამებს ნუ მამაგონებ.
კვლავ მეშინია, არ გაგხდე ხელი,
სისხლით გაჟღენთილ მინდორ-ველიდან
ვერ მოგილოცეთ ახალი წელი.
დღეს გაუმარჯოს ჩვენს ახალგაზრდებს,
მოსპეს ჯალათი, მტერი და მკვლელი,
კვალად ფრიალებს ჩვენი სალამი,
მომილოცნია ახალი წელი!..

ვარო ერისთავი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვალერიან შალიკაშვილი 1874-19

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ს. აკეთში (გურიაში) 1874 წ. იანვრის 20 გარდაიცვალა ვალერიან ირაკლის ძე შალიკაშვილი.

ამ სახელს კარგად იცნობს ცნობიერი საქართველო: ცოცხალ ჭუმორით შემკობილ ამბავ-მოთხრობათა მწერალი, ნიჭიერი დრამატურგი და კიდევ უფრო ნიჭიერი მსახიობ რეჟისორი. დაბადა ს. აკეთში (ოზურგეთის მ.) 1874 წ. მაისის 10. გაათავა ქავკავის რეალურ სასწავლებლის 4 კლასი. სასცენო ასპარეზზე გამოვიდა 1902. წ ნოემბრის 25 სამწერლოზე — განმათავისუფლებელ მოძრაობის ხანაში — 1905 წ. თანამშრომლობდა ყველა ქართულ ჟურნალ — გაზეთში. პირველად სცენაზე და მწერლობაში თანამშრომლობდა ვალიკო გურულის სახელით. იყო მოსკოვის სამხ ტვრო თეატრის სარეჟისორო ნაწილზედაც, სადაც სასცენო სარეჟისორო ცოდნა უფრო გაიფართოვა და რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ უფრო მეტი უნარი გამოიჩინა.

მწერლობაში მოურიდებელად ეხებოდა ჩვენს საზოგადოებრივ მანკიერებათ, დრამატურგიაში — მამულიშვილურ და სოციალურ საკითხებს, სცენაზე იყო მხატვრულ სინამდვილის მიმდევარი, ფაქიზი, და ბუნებრივი ხელოვანი. დასწერა პიესები: ოჯახი გადაჭრილი მუხა, უნიადაგონი, არამზადები, ჩვენები, უპრეტენზიო კომედია, მოქალაქის სიზმარი, გაწყვეტილი ჯაჭვი, პირველი სხივი, წინამძღოლი, და სხვ. აქვს თარგმანებიც.

ამ საშიოდე წლის წინად ქუთაისით გახდა ავად და თუმცა ქართველმა საზოგადოებამ თავისი მზრუნველი ხელი არ მოაკლო, მაინც ამ ულმობელმა სენმა იმსხვერპლა მისი სიკვდილი დიდი დანაკლისია ჩვენის მწერლობის და სცენისათვის: ახლა შედიოდა იგი გაფურჩქვნის ხანაში. დაკრძალულ იქმნა სამშობლო სოფელში იანვრის 23.

ქართული მწერლობა და სცენა მუდამ მადლობით მოიხსენიებს მას.

უკვდავიმც იყოს ხსოვნა მ სი!

ი.

## ის არ მოკვდება!

ის არ მოკვდება, ვინც ტანჯვის ნავით
იმოგზაურა, მოვლო ყოველი,
ღამის მნათობნი დაიმეგობრა,
მთვარე მომხიბლავ სხივთ მთოველი;
ვინც რომ შეიგნო მსოფლიო კვნესა
და მისი განცდა შთაინერვა გულს,
წყობრად ჩააწნა ჩანგისა სიმებს,
შორს გაატანა ჰანგებს ალგზნებულს.
ის არ მოკვდება ვინც გზას ეკლიანს
ერთხელ დაადგა და არ შორდება,
უსულო საგნის თუ სულიერის
შენატირები მის გულსა სწვდება...
და რომ მრავალი დიოდეს ქვეყნად
ამ გვარი სულით და რწმენით სავსე,
ვფიქრობ სამოთხედ გარდიქმნებოდა
სოფელი ესე ცოდვით აღსავსე.

ტასო რუისელი

# მეორედ მოსვლა

**სიზმრები უცხოეთში. 1916 წ. მოსკოვი, პირველი ღამეები სექტემბრისა.**

მოსკოვის ქუჩებში ვიხეტიალე მთელი დღე. საღამოს დაქანცული დავბრუნდი სახლში და, მოწყვეტილს მკვდარსავით ჩამეძინა. სიზმარში ისევ მოსკოვი ვნახე: ვითომ მოსკოვში ვარ და არავინ ნაცნობი არა მყავს სადაც გავივლი, სულ უცნობები არიან. ერთმა კაცმა დამინახა თუ არა, მობრუნდა ჩემკენ, აიბურწკრა მოჩხუბარი კატასავით და ისე დამიწყო გადმოკარკლული თვალებით მზერა, თითქო უნდა თვალით შეჭამოსო, დიდხანს მიყურა, დიდხანს მიყურა... ბოლოს ერთი მაგრა გადააფურთხა იქითა და ჩქარის ნაბიჯით განაგრძო გზა. სანამ გადააფურთხებდა, ღიმილით უყურებდი, რომლითაც თითქო ვეუბნებოდი: რა გიკვირს, თქვენი მოძმე ქართველი ვარ, უკანასკნელ წვეთ სისხლსაც არ დავიშურებ თქვენთვისა მეთქი. მაგრამ, როცა მან იქით გადააფურთხა, ბრაზი მომივიდა, გავიძრე ხანჯალი და გამოვეკიდე ყვირილით: შენ ჩემს შურისგებას ველარსად წაუხვალ, შენი სიკვდილი ჩემს გულში უკვე აღითქვა! წამოვეწიე ყვირილით და ისე მაგრა დაუქნიე ხანჯალი, რომ მდინარის იქით გადავაჩტუნე.

შევედი მდინარეში, შუაში ვდგევარ. თვითონ მდინარე დგა, ხოლო ნაპირები მიდიან. ვიღაც ქალმა შემომხედა მდინარის შუაში მდგომს გაკვირვებითა და მკითხა: ,,შენ ვინა ხარ?'' აუხსენი, რომ მე მე ვარ. განცვიფრებულმა ჩემის ახსნით მიყურა, მიყურა და ჩაცინვით მითხრა: ,,ძალიან დიდი სულელი ვინმე ჰყოფილხარ——ო''. მერე შუბლი შეიკრა და რიხიანად სთქვა: ,,შენ არასოდეს არ გაიხარებ! ვინა ხარ? საიდან მოთრეულხარ? . ტყუილად ეძებ, ვერ იპოვნი. შენს ქვეყანაში თუ ვერა ჰპოვე გულის სატრფო. უცხოეთში ვინ შეგიყვარებს?.. შენ ვერასოდეს ვერ გაიხარებ.'' ამ სიტყვებს ისე გრძნობით, ისე განწირულად ამბობდა, რომ გაფითრდა, ხის ფერი მიეცა და ბოლოს წიფელად იქცა, რომლის იქითაც თითქო მთები მოსჩანდა. — შენთან დიდი სამდურავი მაქვს, — მითხრა წიფელამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—რა? გაკვირებით ვკითხე მე.

—ისა, რომ შენგან მოსვენება არა მქონდა. სხვებს ეპატიება და შენ კი არასოდეს. მთაში ავლის დროს შენი მწყემსები სულ ჩემი ჩრდილოს ქვეშ ისვენებდნენ, შენც იქ ისვენებდი და იქიდან წასვლის დროს ყველა თქვენგანი მოვალედ სთვლიდა თავის თავს, თითო-თითოჯერ ჩაერტყა ჩემთვის გვერდში ცული. შენ ერთხელ ვიღაცა მწყემსს ჩემი გვერდი ჩამოათლევინე ცულითა და ჩამოთლილში თოფი მესროლე. შენ გაგეხარდა კიდეც, მწყემსმა რო დაიძახა, სწორედ მოარტყიო. აბა შემომხედე, რასა ვგევარ: გამხმარი, ტოტებ ჩამომტვრეული..., განა ეხლა აქ უნდა ვიდგე მოსკვა—ს ნაპირზე, შენ რომ კაი კაცი იყო?. აი სადამდე მიმიყვანეთ. აქ საშინლადა მცივა. თვალები გამეყინა ამ გაყინულ მდინარის მზერით... შენ როდის მიხვალ საქართველოში? თუ წახვიდე, ასე უთხარ ჩემ მეზობელ წიფლებს: ნეტა ისევ მანდა ვმდგარიყავ და თუნდა სამჯერ კიდევ მეტი ჩაერტყათ ცული ჩემთ ის მწყემსებსა თქო. გაიგე რა გითხარი?.. ჩქარა წადი, თორემ პროფესორი-ჩვეულებრივზე ადრე მივა უნივერსიტეტში და დაგიგვიანდება'' მაგრამ მე მინდა მთვრალი მივიდე ლექციაზე, მსურს ჩემი დარდი ღვინოში ჩავკლა, მივიდე უნივერსიტეტში და უწესობა მოვახდინო. უცბად წამოვხტები დ ვეცემი ვიღაცას: აბა ჩქარა წავიდეთ, სხვებმა არ მიგვისწრონ... სხვებმა არ მიგვისწრონ... არ მიგვისწრონ... მე ვიცი საცა ჰყიდიან ღვინოს... ღრუბლებივით მივქრით, მაგრამ სად არის ის ადგილი?..

აი ის ადგილი, მაგრამ ღვინო რომ არსადა სჩანს. ო, რარიგ მინდა, დავითრო...

—იზვოშჩიკ, სად არის აქ ღვინო?

—აი მანდვე შეუხვიე, თითი მიაჭირე კედელსა და თვითონ გამოვა...

მივაჭირე თითი კედელს.

—შენ ვინა ხარ? ვკითხე მე.—მობრძანდით, მობრძანდით, მითხრა მან.—შევედი.

ღმერთო, რამდენი ხალხი სხედს შიგა! ქალები, კაცები, ბავშვები, თავშიშველი, ფეხშიშველი, მკერდშიშველი. აბა ეს ვიღაა, რამოდენა წიგნები დაუწყვია წინ. განა შესძლებს იმათ წაკითხვას?. ჰო ეს კაცი წინადაც ბევრჯელ მინახავს და როცა კი მინახავს, ხელში უეჭველად ბევრი წიგნები სჭერია, ყველა კი დაპეჯითებით ამბობს, რომ მაინც სულელია და წიგნები ვერაფერსა ჰშველისო. განა რუმიანცევ—მა იმიტომ ააშენა ეს სამკითხველო მოსკოვში, რომ სულელებს მაინც არა ჰშველებოდათრა?

ყველანი კითხულობენ და მე რაღა ვარ?

—მომეცით წიგნი.

—რომელი წიგნი გნებავთ? მკითხეს.

—ღვინის ფერი ყდა ჰქონდეს.

მომცეს ღვინის ფერ ყდიანი წიგნი.

რა დიდებული წიგნია. თვალწინ წარმომიდგა ვენახები, მარნები, საწნახლები, რომლებიც სავსეა ყურნით; ზედ ტალიკ—ტალიკი ბიჭები დგანან დაკარწახებულნი, სცემენ ფეხსა და მღერიან, სცემენ ფეხსა და მღერიან, ტკბილი კი ჩაიმღერს ქვევრებში. მოხუცი მეზვრე შემოარბეინებს შამფურებით მწვადებს, მიუშვერს საწნახელზე მდგომ მწურავაებს და ეტყვის: ,,წაძრე'' მერე მიაწვდის ღვინოს ლა იტყვის: ,,აბა ერთი ესეც გადაჰკათ, მუხლს გაგიმაგრებთ, სიცოცხლეს შაგმატებთ.

არა, მეც უნდა დავიხადო ფეხთა და შევდგე საწნახელზე...

თფუი, რა საძაგლობაა! მე ღვინისფერ ყდიანი იგნი ვსთხოვე და იმათ ყინვისფერ ყდიანი მოუტარეთ, სათ?? დიდი ასოებითა სწერია ,,Челпановъ'', მესამი ასო სწერია კარადაშით ,,Чел', და ოლოში ,,МОСК .''

**ი. მჭედლიშვილი**

# ႭႡႪႠႣ ႭႡႭႪႨ



**გენ.-მ. ალ. ი. კობიაშვილი**

ობოლთ ობოლი, რგვალი ობოლიო, რომ უძქვამთ, სწორედ ალ. ი. კობიაშვილზეა ნათქვამი, რომელიც ამ ორის თვის წინად მოულოდნელად გარდაიც.

ეს იყო ობოლი არა მხოლოდ დედმამით, არამედ სწავლა-აღზდით, სამსახურით, მსოფლმხედველობით, საზოგადოებრივ მოღვაწეობით და მთელ სიცოცხლეშიც თითქმის ობლადვე იარებოდა.

უმაღლესი საარტილერიო განათლება მიიღო პეტროგრადის სამხ'-საარტ. აკადემიაში და სამსახურშიაც წარჩინებული ადგილი დაიკავა. რევოლიუციის მოხდენამდე იჟევის თოფხანის სამეფო ქარხნის უფროსად იყო, და დიდის გამჭირიახობითაც მართავდა საქმეს, უკანასკნელ ხანებში ჩვენმა ახალმა მთავრობამ საქართ. საარტილერიო სექციის უფროსად დანიშნა. აქ ჩვენის ქვეყნისთვის საჭირო ცვლილება შეიტანა: საარტ. მმართველობაში ჯამაგრები თვიურ 18000 მ. ხოლო არსენალში თვიურად 250000 მანათით შეამცირა, რაიცა ჩვენს ხაზინას შეემატა. მაგრამ იგი ჩვენთვის ამ მხრით არ არის საყურადღებო.

ალ. ი. კობიაშვილი იყო ერთი პირველთაგანი, რომელმაც ჯერ არა დროს 80-იან წლებში შეადგინა გეგმა ჩვენს ქვეყანაში მომხმარებელ-მწარმოებელ (საკოპერაციო) ამხანაგობთა დაარსების შესახებ, რომლის შესახებ დასაბუთებული მოხსენება მაშინ ბანკის გამგეობას და თავ.-აზნ. წარუდგინა. მას ღრმათ სწამდა, ჩვენის ქვეყნის ეკონომიურად დასაწინაურებლად და უცხო ჩარჩ-ბაცაცების კლანჭებისაგან თავის დასახწევად, ასეთი ამხანაგობთა დაარსება საჭიროა. მაგრამ მას იმ ჟამად ყურადღება არვინ მიაქცია და მისმა იდეამ კი გაიმარჯვა.

სხვათა შორის იგი მუდამ კრიჭაში ედგა ხოლმე ჩვენს გაბატონებულ მესვეურთ საბანკო თუ სხვა ასპარეზზე, არა ერთ გზის ყოფილა სარევიზიო კომისიების წევრად და ყოველთვის მხოლოდ ერთს დედააზრს ემსახურებოდა: საზოგადოების სარგებლობიანობას და სიმართლეს, რის გამოც არა ერთი და ორი მტერი გაიჩინა. მიუხედავად ამისა, მას პატივს სცემდნენ, ეკრძალებოდენ და ანგარიშს უწევდენ.

იყო კარგი მამულიშვილი, სპეტაკი, მიუდგომელი, მუდამ პირდაპირ მლაღადებელი და უანგარო!..

ამიტომაც განვლო თვისი სიცოცხლე ასე ობლად!

ხსოვნა მისი საუკუნოდამც დარჩება, ი.

13195

ეროვნული ბიბლიოთეკა



# განახლებული სიცოცხლე

(რომანი ქართველ-სომეხთა ცხოვრებიდან)

## უცნაური შეხვედრა.

შემოდგომის სუსხიანი საღამო იყო.

საქართველოს დედაქალაქ თბილისის სასახლის ბანზე, მაღლა ჰაერში, მშრომელთა წითელი დროშა ფრიალებდა, ნიშანი საერთაშორისო ძმობა-ერთობისა, ხოლო სასახლის აივნის ბჭეზე ქართველთა ერთვნული სამფეროვანი დროშა, ნიშანი შავბნელი წარსულის, ნათელი აწმყოსი და ბრწყინვალე მომავლისა. დიდი ხანი არ არის რაც ქართველმა დემოკრატიამ თავის სამშობლო საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მსოფლიო არეულ-დარეულობის დროს შექმნა დემოკრატიული რესპუბლიკა, ერი თვისი კაცობრიობის უფლებამოსილ წევრად აღიარა, სახემწიფო ხელშეუვალ, სუვერენულ ერთეულად განამტკიცა და თვისი ღირსების შეგნეიით იშვებდა... და რავდენად იგი იშვებდა, იმდენად გარეშენი შურით უცქეროდენ, ღვარძლიანად იხსენიებდენ. თვით ქუჩაზე მოსიარულე ხალხს სახეზედვე შეატყობდით, ვინ როგორ უყურებდა საქართველოს დამოუკიდებლობას: ქართველობა წელში გაშლილი, სახე მღიმარე მიმოდიოდა, სომხობა წელმოყვეტილ გველივით გატვრენილი დასისინებდა, ხოლო რუსობა სევდისაგან კრიჭა-შეკრული, ბოღმით ხაფრა გადაკრული სასახლეს შურით აუვლ-ჩაუვლიდა: აქ იჭედებოდა ქართველი ერის ბედი და ეს აწუხებდა მას...

საერთაშორისო ხანგძლივი ომიანობით შეწუხებული მოქალაქე წუთით წუთს ელოდა ადამიანთა გამანადგურებულ ცეცხლის ჩაქრობას; სწყევლიდა იმას, ვინც ომის ცეცხლი ააგიზგიზა. დამშეული, თითქმის გატიტვლებული, თავ-გზა-დაკარგული ბეჩავი ხალხი სასოწარკვეთილებას მისცემოდა, ბოღმას მოეცვა და რწმენა ჩამქრალს მომავალი წყვდიადით მოცული ეჩვენებოდა...

ქუჩებზე ელექტროს ლამპრები ოდნავ ბჟუტავდა, მოძრაობი მოდუნებულიყო, მთვარეც ღრუბლებს ამოჰფარებოდა, თითქო ცოდვილ ქვეყნის ნაცოდვილევის გაშუქება ეკრძალებაო...

ამ დროს ქ. თბილისის მდიდართა უბნის ერთ საშუალო შეძლების სომხის საზოგადო მოღვაწის ოჯახში, სამწერლობო მაგიდას ოთხიოდე კაცი შემოსჯდომიყო და ვილაცის მოლოდინში აქეთურ-იქითურ საგნებზე საუბრობდა: ეტყობოდა, ესენი ერთმანეთს პირველად შეხვედროდენ...

უცებ ზარა აწკარუნდა; მცირე ხნის შემდეგ სასტუმრო დარბაზში მოისმა ხმა:

—ოჰ, ძვირო სანახავო მეგობარო... კეთილი იყოს თქვენი სტუმრობა... მორძანდით, მობრძანდით.

ამ სიტყვებისათანავე სტუმრებთან შემო ვიდა ორი კაცი, ერთი მასპინძელი—მაღალმაღალი, ცოტა ბეჭებში მოხრილი, ჭაღარა შეკრეჭილ წვერულვაშით, ხოლო მეორე სტუმარი—ახალგაზდა, მოხდენილ წვერულვაშით, გონიერ თვალებით, სადათ ჩაცმული.

—გთხოვთ გაიცნოთ,—წარმოსთქვა მასპინძელმა: ჩვენი დიდი მეგობარია, სომხურის მცოდნე, ქართველი მემარცხენე მწერალი...

—ფრიად სასიამოვნოა,—თითქმის ერთხმით შეაწყვეტინეს მასპინძელს დამსწრეთ, ფეხზე წამოდგნენ და ქართველ მწერალს სათითაოდ ხელი ჩამოართვეს.

მათ შორის მალე მეგობრული ლაპარაკი გაიბა. საუბრობდენ ევროპიელთა ველურობაზე, რაიც საერთაშორისო ომიანობით გამოისახა, ხალხთა ურთიერთობაზე, მუშათა მოძრაობის მნიშვნელობაზე, პოლიტიკურ პარტიებზე, კლასთა ბრძოლაზე და სხ. ლაპარაკობდენ საერთაშორისო თვალსაზრისით აღჭურვილნი, როგორც ჭეშმარიტი სოციალისტნი...

მასპინძელი გადი-გამოდიოდა, ეტყობოდა რაღაც თადარიგში იყო. სტუმრები თანდისთან ემატებოდენ, გამოჩნდა წვერჭაღარა ტერტერა ქალითურ; ბოლოს შემოვიდა ერთი საშუალოზე მომაღლო შავგრემანი, მოგრძო წვერა, ასე 35 წლის სერთუკოსანი ვაჟკაცი, ავაზაკური გამომეტყველობისა, რომელსაც უმეტესობა ფეხზე წამოუდგა.

—სალამი ბატონებს,—შემოსვლისათანვე რიხიანად წარმოსთქვა მან.

—სალამი ბატონ ტიგრანს,—მიუგეს და ყველამ ხელი ჩამოართვა.

დალაგდენ. შემოსულმა ირგვლივ თვალი მიმოავლო, აბაჟურჩამოფარებული ლამფა ისე მკრთალად ანათებდა, რომ ყველას სახე ვერ გაარკვია.

—დიაღ, ბატონებო,—მცირე სალამ-ქალამის შემდეგ განაგრძო ერთმა პირნაყვავილარმა, უსანდომო სიფათის ახალგაზდამ: ქართველი თავადაზნაურობა უნდა მოისპოს, რომ შევძლოთ ჩვენის მიზნების მიხწევა მშრომელი ხალხის საბედნიეროდ.

—ჰმ, . სომხის პლუტოკრატია?—იკითხა კუთხეში მჯდომმა ქართველმა მწერალმა.

თითქო ძერამ დაუქროლაო, ისე შეიშმუშნენ ზოგიერთნი. უხერხული მდგომარეობიდან ყველანი ტიგრანმა იხსნა.

—კაცმა რომ სთქვას, სომეხთა პლუტოკრატიას იმდენი არა დაუშავებია-რა. დამნაშავეც რომ იყოს, ეს სომხის ერის საქმეა და არა ქართველი შოვინისტებისა, რომლებიც წარამარა იკბინებიან.

—ვითომ სომხების შოვინისტები ნაკლებ იკბინებიან?—იკითხა იმავე ქართველმა მწერალმა და განაგრძო: ცალმხრივობა არაფერში ვარგა. შოვინიზმი ყველა ერშია და ერთნაირადვე ჰყარს.

—ეგ მართალია, მაგრამ ქართველთა შოვინიზმი განსაკუთრებულია; იგი გამოწვეულია ქართველ მემამულეთა ზეშთაგონებით და, როგორც ასეთი, სომხის ერის წინაალმდეგაა მიმართული.

—სამაგიეროდ სომხის პლუტოკრატიის და საერთოდ სომეხთა შოვინიზმიც ქართველთა წინაალმდეგაა მიქცეული.

—ჩვენი შოვინიზმი კეთილშობილურია, პროგრესიული. ქართველთა შოვინიზმი იმდენად ძლიერია, რომ მათმა სოციალისტებმა ამიერ-კავკასიის დაშლა-დაყოფაც-კი შეიძლეს და რაღაც რესპუბლიკები შექმნეს: საქართველოო, არარატიო, ადერბეიჯანიო. საუკეთესოდ მოწყობილი ქვეყანა, საუცხოო ქალაქ თბილისთურ თვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თონ დაიტოვეს და ჩვენს მრავალტანჯულ ერს ერევნისკენ უკრეს თავი. იმ ერს, რომელმაც ერთი საუკუნის განმავლობაში მთელი თვისი ნივთიერ-სულიერი კულტურა ამ ქალაქის გამშვენიერებასა და გამდიდრებას მონდომა. მე მესმის ქალაქი თბილისი რომ ჩვენ ვრგებოდა, მაშინ არარატის რესპუბლიკის არსებობას აზრი ექნებოდა, ახლა-კი რას წარმოადგენს არარატის სამეფო? მხოლოდ ცარიელ ბგერას.

—განა ამაში ქართველები არიან დამნაშავენი? განა ისტორიულად ქალ, თბილისი ქართველებისა არ არის? იკითხა ქართველმა მწერალმა.

—რომელი ისტორიით? აკითხა ტიგრანმა.

—ქართველების სისხლითა და ოფლით რომ დაიწერა,—მიუგო ქართველმა მწერალმა.

—დღეს-კი ისტორია ოქრო-ვერცხლით იწერება. ჩვენის ერის შეძლებულმა შვილებმა ქართველ თავადაზნაურთაგან უზომო მამულები იყიდეს ბორჩალოს მაზრაში და სხვაგანაც. ამაში კალთით ჩაუთვალეს ფული. ეს ხომ ყველამ იცით. დღეს-კი ქართველმა სოციალისტებმა, სხვა რომ ვეღარა მოახერხეს-რა, რაღაც კანონი გამოსცეს, რომლის ძალით მდიდარ მესაკუთრე-სომხებს ნაყიდ მიწებს ართმევენ და ხალხს ურიგებენ. განა შოვინიზმი ამაზე შორს წავა?

—იმავე კანონით ქართველ მემამულეებსაც ხომ ჩამოართვეს მიწები და სომხის და თათრის გლეხებს დაურიგეს.

—ისინი თავადები იყვნენ. დიაღ, ჩვენ ცხოვრება გვინდა, სიცოცხლე და ვინც გვიშლის, უნდა გაიქელოს. წარმოსთქვა ტიგრანმა.

—ქართველებმა რომ გაიმარჯვონ?

—ძალა გამოაჩენს ვინ გაიმარჯვებს, წარმოსთქვა ტიგრანმა და ჯიბიდან ბრაუნინგის რევოლვერი ამოაცურა,—აი ვისაც ეს აქვს და მისი ხმარების უნარიც შესწევს სამართალიც მისია.

—ნუ თუ? ძალას რომ ძალით გასცენ პასუხი!

—გამარჯვება მაინც ჩვენ დაგვრჩება,—გავიმარჯვებთ იმიტომ რომ ქართველები ერთმანეთში ვერ მორიგებულან და ჩვენთან რას გააწყობენ... ჩვენ ბევრი ანგარიში გვაქვს მათთან. ბორჩალოდან, ახალქალაქ-ახალციხიდან, თვით სამუსულმანო საქართველოდანაც კი ქართველთა ხსენება უნდა გაჰქრეს, რომ დიდ ჰაიასტანს მკვიდრი საძირკველი ჩაეყაროს. აქ დანდობას ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს. უნდა მოვიშოროთ ჩვენი ერის წინმსვლელობის ხელის შემშლელნი. შეხეთ, ჩვენი თბილისი თანდათან როგორ ივსება ქართველებით. ათიოდე წელიწადი და ერთი სომეხი ვაჭარიც ვეღარ მოიძებნება აქ. მთელი ვაჭრობა-მრეწველობა მაგათ ხელში გადავა. დროა, ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოვუღოთ ქართველ შოვინისტების ხელის ფათურს.

—ალბად ქართველებიც ასევე მსჯელობენ: დროა ბოლო მოვუღოთ გადმოხვეწილ-შემოხიზნულთ ხელის ფათურსო,—მიუგო ქართველმა მწერალმა.

—აქ გადმოხვეწილ-შემოხიზნული არავინაა: ვმოსახლეობთ. მორჩა და გათავდა ხოლო ვინც ხელს გვიშლის, უნდა გაიკაფოს, ამას მოითხოვს ჩვენის ერისა და სოციალიზმის არსებითი ინტერესები: ქართველი თავაზნაურობა გადაშენების გზაზეა შემდგარი და არაფრის შემქმნელია, მაშასადამე ღირებულებას მოკლებული, ინტელიგენცია ზანტი, ცრუ მოლაყბე და უქნარა, გლეხობა—სიბნელეში ჩაფლული, მხოლოდ ნედლ მასალად თუ გამოდგება. ნუ თუ ცოდვა არ არის, ფხიზვლ სომხის ერის წინსვლას ესენი გადაეღობნენ. არა, მოსასპობი რაც ადრე და მალე მოისპობა მით უკეთესი.

ეს უკანასკნელი სიტყვები ტიგრნმა ისე წარმოსთქვა, თითქო უფლება განუსაზღვრელი მბრძანებელიაო.

მასპინძელმა იგრძნო უხერხული მდგომარეობა და სტუმრები თერმონიაზე გაიწვია.

—სამწუხაროა ასეთი კამათი,—წარმოსთქვა მწერალმა, როცა მაგიდას თავში მოუჯდა, სადაც მასპინძელმა მიუთითა, მის პირდაპირ ტიგრანი მოთავსდა.—თქვენის შეხედულებით ყველა უცხო ერი უნდა განადგურდეს.

—თუ ჩვენი ერის არსებობას ეღობება—უეჭველად.

თერმონიას და ხილს შეექცნენ.

—ბატონებო, ამდენმა პოლიტიკამ ძარღვები მოადუნა;—ერთი სხვაზედაც სთქვით რამე.—ჩაერია ლაპარაკში მასპინძელი: მაგალითად, ისაუბრეთ კაცობრიობის უმაღლეს იდეალებზე, ხელოვნებაზე.

—რას იზავთ, როცა დღეს უპოლიტოდ ბიჯსაც ვერ გადასდგვთ. მაგალითად სომხის ერის ყოფნა-არყოფნა საფრთხეშია და ნუ თუ სხვაზე შეიძლება ლაპარაკი? წარმოსთქვა ტიგრანმა.

—სომხის ერის ინტერესი-კი მოითხოვს, მეზობლებთან კეთილგაწყობილი იყოს.

— განა მგლებთან ცხვარს ეცხოვრება! განდგომილ ქართველებთან რა გვაქვს საერთო. საქართველო უნდა მოკვდეს და მოკვდება კიდეც.—სთქვა ტიგრანმა.

—როგორ.—გულზე ცეცხლ-მოდებული წამოვარდა ქართველი მწერალი, მაგრამ მალე გრძნობა დაიცხრო და გარკვევით განაგრძო: საქართველო მუდამ მშვიდობის რტოს ატარებდა, აწიც ასეა და ასეთ ძრახვათა მიწერვა მას არ მოუხდება. დარწმუნდით ბატონებე, რომ საქართველოს სიკდილი აღარ შეიძლება, რადგან ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმე თვით ერმა მოიდო ხელში. მე მგონია საქართველოს დამუკიდებლობა უმთავრესად სომხის ერს უნდა ახარებდეს. სომხის მშრომელი ხალხი მხოლოდ საქართველოს დემოკრატიის შემწეობით მიაღწევს ბრწყინვალე მომავალს. ასეთია ისტორიულ მსვლელობის საფეხურები და ვაი იმ პატარა მეზობელს, რომელიც საქართველოს მუხანათურად განუდგება, მის დროშას არ შეეფარება საქართველო მუდამ სოციალისტურ იდეებით სუნთქავდა, იყო ჩაგრულთა მფარველი, ვერაგთ წინააღმდეგ მებრძოლი, ყველა ეროვნების შემწყნარე. მეც, მისი ერთგული შვილი, ამავე გზას ვადგივარ. ამიტომ, რაც უნდა ბრძანოთ; მე მაინც როგორც სოციალისტი და როგორც ქართველი, მუდამ ძმობა-ერთობის მქადაგებელი ვიქნები, მშრომელთა მეუფების მოსარჩლე და თქვენც ამასვე გირჩევთ.

—როგორ, თქვენ **ქართველი**?! წარმოსთქვა გაოცებით ტიგრანმა, წამოდგა და ფერგადაკრული ქართველ მწერალს მიაშტერდა; ურთი ერთი აზომ დაზომეს. ამავე დროს კარებში გამოჩნდა, ტერტერას ასული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ღია კარიდან იჭვრიტებოდა, და ტიგრანას შორიახლო გაჩერებული ქართველ მწერალს შეჰყურებდა ამ სურათს. ჰაერი ისე შეიკუმშა, იტყოდი, საცაა იქუხ-იჭექებსო. უცებ ტიგრანმა კილო შეიცვალა, ქართველ მწერალს მიუახლოვდა, ორივე ხელი გაუშვირა, ზრდილობიანად ხელი ჩამოართვა და უთხრა:

—მოხარული ვარ, მოხარული, რომ კეკლუც საქართველოს კეთილშობილ ბრძენმოაზრე ქართველს ხელს ვართმევ! იმედი მაქვს, მახლობელ მეგობრად მიგვიღებთ. სომხურიც რო საუცხოოდ შეგისწავლიათ. რავდენი ხანია ვმასწავლებლობ და თქვენებრივ სომხურის მცოდნე. მე ჯერ არ მინახავს.

ქართველმა მწერალმა ხელი ჩამოაუთვა, ერთი ქურდულად კიდევ გახედა ახალგაზდა ქალს, რომელიც ქანდაკებისავით მაგიდის იქით იდგა, შორით თავდაკვრით გამოესალმა და კარისკენ გასწია.

—უხერხულ დროს შეგესწარით,—უთხრა გამომშვიდობისას მასპინძელს.

—სულელია, ყურს ნუ უგდებთ. სტამბოლელია, ჩვენებური არაფერი იცის. ჩვენ მაინც კიდევ მალე უნდა შევიყარნეთ ჩვენი ორივე ერის საუკეთესო მწერალთა ნაწარმოებთა სათარგმელად. მეც მაქვს ერთი თხზულება ჩვენი ერების ძმობა-ერთობის საჭიროებაზე ჩემის აზრით საყურადღებო. თუ ერთი ერი მეორის სულიერ ავლა-დიდება არ გაიცნობთ, მაშინ ვერც შეიგნებს, ხომ ასეა.

—თუ მაგ ბატონების ჭკუას ავყევით გაგიხარიან დღეში ჩავცვივდეთ.

—ტიგრანა?! ეეე, თუ ღმერთი გწამს გულში არ ჩაუშვა მაგის ლათაები, მუდამ ეგეთია, ეკალივით იჩხვლიტება, იმდენი კი არაფერი შეუძლიენ.

—მადლობა ღმერთს, ეკალს რომ ვარდიც თან ახლავს

—რაზე ბრძანებთ. შეეიკრთხა მასპინძელი, მაგრამ რაკი ღიმი შენიშნა, ღიმილითვე მიუგო: ჰო მესმის, მესმის. ჩვენი ტერტერას ქალზე ბრძანებთ. გამჭრიხი თვალი გქონიათ. თქვენ რომ ლაპარაკობდით, ისე გიყურებდათ გეგონება მოჯადოებულიაო. ტიგრანას ენათესავება.

—იქნება თითონ ჯადოქარია

—როგორ?

—თითქო გულში ისარი გამიყარაო,

—მართალია საშინელი მომჯადოებელი თვალები აქვს.

—თვალები კი არა, ორი ცეცხლოვანი გიშერია მუქ ვარდის ტბაზე ამოსული.

—იჰფ, იჰფ; რა ლამაზადაა ნათქვამი, პოეტურად. იმედია, კიდევ მალე გვნახავთ·

—თუ ეგ ტერტერაც გეწვევათ ქალითურ,—უთხრა ღიმილით ქართველმა მწერალმა, ხელი ჩამოართვა და გასწია.

—გეტყობა გულში ჩაგივარდათ, მაგრამ არც ის ქალი იქნება უამისოთ: ვინ იცის ჯიგარში რევოლიუცია გაუჩნდა!, უთხრა სიცილით და კიდევ ხელი ჩამოართვა, მწერალი ქუჩაზე გავიდა. მასპინძელმა კარი მიხურა ერთი ამოიხვნეშა და თავისთვის წაილაპარაკა დასწყევლა ღმერთმა არ მოვიდა არ მოეიდა და რაღა დღეს მოვიდა.

—ოთახში დარჩენილთა შორის დიდხანს დუმილი იყო, თითქო ცივი წყალი გადაუსხავთო. მასპინძელი რომ შემოვიდა, მოსხეპილ ბალახივით ჩაიკრიფა სავარძელში.

—როგორ!—ბრაზმორევით წარმოსთქვა ტიგრანმა.– იქნება ჯაშუშია ამ დროს აქ რა უდოდა. ეს რას ნიშნავს! დღეს ჩვენი ფარული მთავრობის კრებაა თუ ბაზრის სალაყბო?

—რა თქმა უნდა სომეხთა ფარული მთავრობის კრებაა.

—და თუ კრებაა, ვის რა ნება აქვს დაგვზვეროს?

—ფიქრი ნუ გექნებათ,—მოულოდნელად შემოგვესწრო მაგრამ კეთილშობილი ქართველია გთხოვთ კრება განაგრძოთ. ველარავინ შემოვა.

[გაგძელება შემდეგ ნომერში]

## ქართველის სიმღერა

თუ მტრის ჯარი შემოგვეჭრა,
საფრთხე ელის ჩვენსა ერსა,
წალკოტბაღნარ ტურფა მხარეს,
სამოთხისებრ შვენიერსა;
რაღად მხურავს თავზე ქუდი,
თუ არ დახვდე მტერს გმირულად,
არ ეებრხოლო გინდ დავეცე
სამსხვერპლოზე განწირულად.

ვ. ჩლაიძე



ალექსანდრე თომასძე მაჭარაძე (1858-1917)
(წლის თავის შესრულების გამო)

სახალხო მასწავლებელი, გამოცდილი და ერთგული მუშაკი, რომელიც 38 წ. ემსახურებოდა სახალხო განათლების საქმეს. მასწავლებლობდა ს. მარტვილის სკოლაში 8 წ., შემდეგ ხონში კერძო სასწავლებელი დააფუძნა, რომელიც თანდათან პროგრამით შეავსო და ბოლოს გადაკეთა ქალთა საპროფესიო სკოლად, ხონშივე დაარსა სტამბა და სხ. კულტურულ საქმეებშიც მონაწილეობდა.

## ს ე ვ დ ა

ტანჯვა ოხვრაში დავიბადე... მწუხარე და ნაღვლიანი ცრემლები მზრიდიდენ... ჩემს ირგვლივ კვნესა და ტირილი გაისმოდა მრავალ-ტანჯულ, ჩაგრულ ხალხისა... ჩემს გარშემო საშინელი გმინვა და მწუხარება. უსაზღვრო, უანგარიშოა ტანჯვა-წამება მაშვრალთა... ცრემლთა გუბეები სდგას ჩემს გარშემო, ბედისაგან დაჩაგრულ და ცხოვრებისაგან შევიწრებულ საწყალი ხალხის გადმონადენი... მე მიყვარს ეს ხალხი... დედის ცრემლიან ნანასთან ერთად შევიყვარე ის... მწარე სევდავარამი, ბოღმა-კაეშანი, გვემა-გოდება ამ ხალხისა ჩემთვის ნეტარებაა. მიყვარს ცრემლში ნალესი სევდა, რადგანაც ხალხის ტანჯვამ შემათვისა ის...

ჩემო სევდავ შენი ვარ, შენი, აწ შენ გეკუთვნი. შენში, ვპოვებ ცოტათი შვებას. ჩემი სტუმარი ხარ... მე უშენოთ სიცოცხლე არ შემიძლია არა... მაშ, მოდი საბოლაოდ მიმიღე და გამწი შორს გესმის, იქ წამიყვა იქ.

კლიმენტი თეშზაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



**მიშა დავითაშვილი**
ცხენოსან გვარდის უმცროსი ოფიცერი და სტუდენტი, მოჰკლეს 1918 წ. დეკემბრის 19-ს სომხებთან ომში.



**მიტო გომელაური**
სადახლოსთან დაღუპული 1918 წ, ქრისტიშობის 31

# დაბალქუსლიანს

პატარა სონეტი

დაბალქუსლიან ფეხსაცმელებს მუდამ ატარებს
არ უყვარს ქუსლი აწოწილი, ზე-ამართული.
თვით სიარულიც ქართული აქვს, მხოლოდ ქართული.
დადის და მუხლებს ხან ანელებს, ხან ალადარებს.

სულ ფეხით დადის. და მით მიკლავს გულსა იარულს.
მე ხომ ჩემს ლექსებს არ ვაკადრებ ფეხით სიარულს—
მაშ ის ამ ქცევას რომელ მგოსნის ლექსებს ადარებს?!

ი. გრიშაშვილი



**მგოსანი იახაანი**
(მიხეილ კინწურაშვილი)

---

## ბათუმს

დაგტოვეთ ჩვენო მშვენებავ გულის ტკენით და იარით
და დღეს ტყვეთა ხარ, ჩვენი მზე აღარ დაგნათის ციალით;
შენი სიტურფე, დიდება ფეხ-ქვეშ გათელეს, აწამეს;..
გულს გაგიტარეს მახვილი და ჰა, განიცდი შავ წამებს.
ჩვენო მშვენებავ აკვანო აღმზრდელო მუშა ხალხისა
დღეს კი ტყვედ ქმნილო დიდებავ კაბა გაცვია თალხისა.
დღეს ტყვეობაში სულსა ჰლევ, მტერი არ გზოგავს ჭირიმე
ვაჰ, თუ ვერ უძლებ ამ ტანჯვას, ბათუმო შენი ჭირი მე,
ნეტავ რას შვრები, რასა იქ ჩემი ფიქრეიბს რვეულო!
ქართველი ერის საუნჯევ, ვერაგ მტრის ხელში მწყვდეულო:
რას შვრება შენი ბაღები ია და ვარდით ფენილი;
ოდესღაც ზურმუხტოვანი, დღეს კი მტრისაგანთელილი;
მწარედ გიგონებთ დიდებავ და ტრფობით გულში გიხუტებთ
მოვალთ...გიხილავთ... მოგივლით და ისევ აგა-ზურმუხტებთ!..
მოგივლით მოგიალერსებთ ტყვე შვილს გაგიწევთ დედობას!
მანამ კი შენ თავს ნუ მისცე ჯავრსა და უიმედობას!..

დ. ქანჭათელი.



**გენერ. ილ. ოდიშელიძე**
საქართველოს ჯარის საორგანიზც. სექციის თავმჯდ., სამშვიდობიო კონფერენციის საქართველოს დელეგაციის ერთი მრჩეველთაგანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დარიალის ხეობის მცველი მოხევენი

## სევდა ყოფნაზე

სიცოცხლე მარად მხოლოდ იყო ამაოება..
ბედის სიავეს არ აქვს კიდე... არ აქვს საზღვარი...
ყველას თანბრად მიაქროლებს ცივი დროება,
ვით ქარი ფოთოლს.. და მივდივართ როგორც სიზმარი.
ხან სად მოგვისწრობს დილა, ხან სად შემოღამება.
ხან ქარიშხალი გაიტაცებს ჩვენს ობოლს ნავსა..
მადიან დრონი — და დროთ სრბოლა სულის ვაება
თითქოს გვიშორებს სიკვდილის წუთს ვატყუებთ თავსა
სად წვიმას, ავდარს შეეყრება ჩვენი გზა ვრცელი ..
ხან მოლანდებად მზეც გაგვიხსნის სხივოსან კარებს ..
აქ ბნელა .. ცივა . და არ ყოფნა შეუცნობელი -
ვინ იცის როდის დაგვირეკს ზარს, თვალს მიგვაფარებს.
თითქოს გაძინოს, ლამაზ ძილში ტკბილი სიზმარი,
გაადერსებდეს... სულის სიღრმეს.. გრძნობებს
სწვდებოდეს, —
გამოეღვიძოს.. და ლანდება კეკლუცი.. ჩქარი,
ისევ ჰქრებოდეს... სამუდამოდ გეთხოვებოდეს...
ეს ბედო.. ბედო.. დასაბამს რომ ჰქმნიდი დროებად,
მე რად შემქმენი მხოლოდ წამამად, როგორც ჩვენება,
რომ ყოფნა სოფლად მეცნო მწარე ამაოებად
და წართმეოდა სულს სიმშვიდე და მოსვენება...
რა ვიქნებოდი, რო მეც შენთან მარად ვიდოდე..
— ღმერთების ღმეთებს მივწვდებოდი სრულყოფით..
ძალით..
რა იქნებოდა შენს სრბოლასთან მეც რომ ვქროდე,-
თვით მზეს დავწვავდი გრძნეულებით და სიმხურვალით
ყოველს ვარსკვლავზე. ცაში. ზღვაში და არსთა სულში
სულ ახალს ყოფნას დავბადებდი. ღმერთებს შევქმნიდი
ვცნობდი რა იყო დასაბამზე ადრე, — წარსულში..
თუ იყო კიდევ ჩემზედ მეტი ღმერთი. სხვა.. დიდი .
ეხლა კი.. ეხლა. თვალს ვეფარდები, როგორც ჩვენება.
ვით ხის ფოთოლს რო მოიტაცებს ავსული ქარი...
რადაც ხუმრობს მომაგონებს ყოფნა-მშვენება..—
ლამაზი, მაგრამ მიმავალი, როგორც სიზმარი...

ი. მოსაშვილი




## სანდრო მაისურაძე

საქართველოს თავისუფლების განმტკიცებამა და მისი დემოკრატიის გაძლიერების საქმემ ერთი ფასდაუდებელი მსხვერპლი შეიწირა.

ეს იყო სანდრო მაისრაძე, ქრისტეშ. 19, ეკატერინოფელდის ფრონტზე სომხებთან ბრძოლაში განგმირული

უხვია და მდიდარი ჩვენი ქვეყანა, რომ ასე ამრიგად ბუმბერაზ გმირებსს წარმოშრბს ხოლმე,

სანდრო მაისურაძე იყო ქართლელი, სოფ, დგვერისიდან. მამა მისი სოფლის მშრომელი გლეხი იყო, სასახელო გუთნის დედა. სანდრო დაიბადა 1883 წ. პირველ დაწყებითი სწავლა მიიღო სოფლის სკოლაში, მაგრამ მამის გარდაცვალების გამო სკოლას მალე თავი დაანება და თბილისში ჩეინკალთან დადგა შეგირდათ. აქედან მთავარ სახელოსნოში შევიდა, სადაც სახალხო თეატრს დაუახლოვდა, თვით განვითარებას შეუდგა, მალე მუშათა მოძრაობაში ჩაება და ერთ საუკეთესო შეგნებულმებრძოლ მუშად შეიქმნა.

დიდი მონაწილეობა მიიღო 1906 წ. გაყაჩაღებულ წითელრაზმელებთან ბრძოლაში, რევოლიუციის ხანაში წითელგვარდიელთა შედგენაში და სხ. სხვათა შორის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი მთავარი ხელმძღვანელთაგანი იყო თბილისის თოფხანის აღების საქმეში, უკანასკნელად ითვლებოდა სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარის ამხანაგად, ყველა ფრონტზე მონაწილეობდა ანარქიის წინაღმდეგ ბრძოლაში და სიკვდილიც ბორჩალოში ჰპოვა, მუხანათ მტერთან პირისპირ ბრძოლაში..

ციხე, გადასხლება, ციმბირი, აი მისი ხვედრი ძველი მთავრობის დროს. რევოლიუციონურმა ხანამ იგი პირველ რიგზე წამოაყენა და საქართველოს პარლამენტის წევრადაც იქმნა არჩეული, მაგრამ უბედურმა ხოლო სასახელო, სიკვდილმა მის პოლიტიკურ მოღვაწეობას ადრე მოუღო ბოლო...

სახელი მისი სამუდამოდ მოიხსენება განთავსუფლებულ საქერთველოს მიერ.

## ...და სხვანი...

### (32 სახალხო გვარდიელის ხსოვნას)

მაისის 26 დამონებულ სამშობლოს განთავისფლების დღეა, ქრისტიშობისთვის 12 ახალგაზდა საქართველოს საკუთარ ფეხზე დადგმის ნიშანი ხოლო ქრისტიშობისთვის 24—საქართველოს განმტკიცების თარიღი.

ამ დღეს ჩვენი დედა ქალაქი თბილისი მიწას აბარებდა 32 გვარდიელს თავის სასახელო სანდრო მაისურაძითურ,... იმ გვარდილთ რომელნიც ქრისტიშობისთვის 19 ბორჩალოში გმირულად ბრძოლის დროს განიგმირნენ..,

იგინი საძმო სამარეს მივაბარეთ, რომ სამარიდან აღმდგარი საქართველო დავაუკაცდეს, წელში გასწორდეს.-

და ასე იქნება: მსხვერპლი უქმად არ ჩაივლის.,

ვინ იყვნენ ეს მსხვერპლნია —,,და სხვანი'' უსახელონი, მაგრამ სამშობლოს გმირნი,.,

სამგლოვიარო განცხადებაში რამდენიმე გვარდიელის გვარი იყო ჩამოთვლილი, დანარჩენების ეწერა: ,,და სხვა''...

რკინის გზის სამლოცველოდან მათს გამოსვენებას ზღვა ხალხი მოაწყდა ... აქ იყო საქართველოს ღვიძლი შვილი, საქართველოს დემოკრატია; აქ იყო საქართველოს მთავრობა თვისი ჭაღარა ბელადი ნოე ჟორდანიათურ; აქ იყვნენ გერმანიისა და სხვათა წარმომადგენელნი.. აუარებელი დროშები, უამრი ხალხი..

გამოატარეს კუბოები.. ყველაზე წინ გვარდიელთა ბელადი სანდრო მაისურაძე, მას მიაყოლეს მისივე გვარდიელები.კუბოკუბოს მისდევს, ყოველ კუბოს თვის ჭირისუფლები, ტირილი, გოდები, მოთქმა... მემრე ამათ სულ უკან ათი თორმეტი კუბო გამოატარეს... მათი არც სახელი ჩანს, არც ჭირისუფალი.,. ,,ვინ არიან?!'' კითხულობენ, მაგრამ მოპასუხე არავინაა..

.,,და სხვანიო'',.. აი ვინ არიან ესენი, ეს ის სხვანია, რომელთა შორისაც გაიღვიძა ძველ მამაპაპათა გმირულმა უანგარო სულმა და სამშობლოს სამსხვერპლოზე მიიტანეს თავისი ნორჩი სიცოცხლე .. მიიტანეს უდრტვინველად, როგორც ძველი რომაელი მოიქცეოდა

და როდესაც ქართველ ერში მამა-პაპათა სული ასე გაიღვიძებს, მაშინ ამ ერის მომავალს ვერავინ დაჩრდილავს.., ასეთ გმირთ დამტირებელი და მგლოვარიც ჰპოვებს,—ეს მთელი ერია, საქართველო... სწორედ ამ დღეს, როდესც ამ უსახელო უჭირისუფლო გვარდიელთა კუბოები გამოატარეს, ხალხის მწკრივში ერთი შავად ჩაცმული ახალგაზდა ქალი ჰსტიროდა, მწასტიროდა და ლაწვებზე ცრემლი ღაპა-ღუპით სდიოდა

და მე მაშინვე წარმომდგა ახალგაზდა ძაძით მოსილი საქართველო, რომელიც თავის განწირულ შვილს დასტირის...

იძინეთ მშვიდათ მამულიშვილნო, დემოკრატიის ღირსეულნო დარაჯნო, თქვენის გმირულის სიკვდილით სამშობლოს სიცოცხლეს აცისკროვნებთ და განა სამშობლო დაგივიწყებთ?..

არასოდეს!...

დიდება თქვენდა, მამულის სასახელო შვილნო!. თუმცა სახელი თქვენი არ ვუწყით, მაგრამ საქმენი თქვენი ნათელგვყოფენ... უკვდავებით განისვენეთ!

**იოსებ არიმათიელი**

## მშობლიური მუსიკა

„ციური ხმები, ოჰ, საკვირველები!. მგოსანი რომ იტყვის—ტყუილი კი არ არის: სწორედ ციურია ის ხმები, რომელსაც ნამდვილი მუსიკა—სიმღერა-გალობა-დაკვრა—მოგვასმენს ჩვენში ამ დარგს ემსახურებოდა ეგრედწოდებული „ქართული ფილარმონიული საზოგადოება“, რომლის 12 წლის არსებობა უქნარობად შეიძლება მოინათლოს.

წინა წელს ამ საზოგადოების წესდება შეიცვალა, შეიცვალა წოდება—ქართულ სამუსიკო სასწავლებლად იწოდა,—შეიცვალა გამგეობაც და სამუშაკოდ მიწვეულ იქმნა ყველა ქართველი მუსიკოსი.

სულ რავდენიმე თვეა, რაც ახალი გამგეობა შესდგა და უკვე მოქმედების უნარი გამოიჩინა: მოაწყო კამერული საღამოები სხვადასხვა ერთა მუსიკის გასაცნობად, სამოსწავლო დილა, დააფუძნა დალკროზის სკოლა, გადასწყვიტა მოაწყოს ქართული საოპერო სტუდია და სხ. ერთი სიტყვით, მუშაობა ჩაღდება, რომელმაც ჩვენი ერის სამუსიკო დიდ ნიჭი, დღემდე ნაცარ მიყრილი, უნდა გაფურჩქნოს, შექმნას ქართველ მუსიკოს-მომღერალნი, რომელნიც მოგვასმენენ ციურთა ხმათა, მაგრამ თუ გარეშე ფართე საზოგადოებამ უხვი დახმარება არ აღმოუჩინა გული და ჯიბე არ გაუხსნა ვერც არას ეს გამგეობა შეჰქმნის. ვისაც მშობლიური მუსიკა უყვარს მას შეისმენს.

**ექიმი შტოკმანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ს. ილორელი, ავტორი ,,აჭარა"-სი

# ა ჭ ა რ ა

დრ. 1 მ. მიბაძვა

**მ ო მ ქ მ ე დ ნ ი :**

**ქემალ-ბეგი** პოლკოვნიკი, ქართ. მაჰმადიანი, 35 წ. მაღალი კაცია, თეთრი ჩერქესკით, [ქულაჯით.

**დედა** ქემალისა 60 წ.

**ნინო,** და ქემალისა 18 წ.

**ჰაიდარი,** ქართვ, მაჰმადიანი 25 წ. აჭარელი

**ოსმალოს ოფიცერი.** 35 წ.

**რაზმის უფროსი, ჯარისკაცი, შიკრიკი** და სხ.

მოქმედება სწარმოებს 1918 წ.

მდიდრულად მორთული ოთახი. ქემალ-ბეგი ზის დაფიქრებული. შემოდის დედა.

1

**ქემალ-ბეგი** და **დედა.**

**დედა.** რა არის, შვილო, რომ სულ დაფიქრებული ხარ? დღე ღამ არა გძინამს, უძილობისაგან თვალებიც კი ჩაგცვივნია, რა გტანჯავს გენაცვალოს დედა?

**ქემ-ბეგ.** ეჰ! დედა ჩემო, განა ამ დროში ადამიანს საფიქრებელი ცოტა აქვს?

**დედა.** ჰოდა, იმიტომ გეკითხები რა გტანჯავს მეთქი, ავათ ხომ არა ხარ?

**ქემ-ბეგ.** არა, დედა ჩემო, ამისთანა გუნებაზე არასოდეს არ ვყოფილვარ, როგორც დღეს. ჩემს გულში ეხლა უსაზღვრო აღფთოვანებაა: რა უნდა ჩემთან ტანჯვას?! ჩემი გული უდიდეს სიამოვნებას მოელის, და თუ გავიმარჯვე, იცოდე, დედა ჩემო, შენისთანა ბედნიერი ქალი ქვეყანაზე არავინ იქნება, შენ ხომ იცი, ქართველები მტრებად გვთლიან და მე დაუმტკიცებ, ვინ ვისი მტერია.

**დედა.** რას ამბობ შვილო, ქართველები ჩვენი მტრები არასოდეს არა ყოფილან და არც იქნებიან. ჩვენც ქართველები ვართ.

**ქემ-ბეგ.** (გაცხარებული) რაო? რა უყოთ რომ ოდესღაც ქართველები ვყოფილვართ; დღეს ხომ მაჰმადიანები ვართ.

**დედა** ნუ ცხარობ, შვილო. რა უყოთ, რომ დღეს სჯული მაჰმადის გვაქვს. მამა-პაპით კი ქრისტიანები ვყოფილვართ. აბა შენ თვითონ გადახედე ჩვენს წესს და ადათს; ისე არ ვიხდით დღესასწაულებს, როგორც ქრისტიანები? არა შვილო ჩვენ ქართველები ვართ.

**ქემ-ბეგ.** მართალია, დედა ჩემო, ჩვენ ქრისტიანები ვიყავით, მაგრამ დღეს ქართველებთან საერთო აღარა გვაქვსრა .. შენ დამაცადე და ნახავ, თუ ოქროთი არ მოგირთო ეგ თმები.

**დედა.** არ მინდა, შვილო, შენი ოქრო ვერცხლი; ოხრათაც დარჩეს ის და მისი მაგონი ოქრომ გადაგვყარა ურჯულოების ხელში.

(შემორბის ნინო თმებ გაწეწილი)

2

იგივენი და **ნინო.**

**ნინო.** დედა! მიშველე, შენი ჭირიმე, ოსმალოს ჯარი აჭარაში შემოიჭრა, მთელი სოფელი გაანადგურეს. ერთი უკან დამედევნა: უნდოდა ჩემი ხელში ჩაგდება.

**დედა.** ნუ გეშინიან, შვილო, ღმერთი ადიდე ის არის ჩვენი მფარველი.

**ქემ-ბეგი.** (თავისთვის) აღსრულდა სიმართლე, სწორეთ გამარჯვების დრო დადგა: ეხლა შიშს ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს.

**ნინო.** ქემალ, შენი ჭირიმე, თუ ძმა ხარ მიხსენი, ოსმალოები აქეთ მოდიან, გადი აქ არ შემოვიდნენ, მე ისინი მძაგს იმათ სურთ ტყვედ წამიყვანონ. გამაუპატიურებენ, იცოდე, ჩემის ხელით თავს მოვიკლავ, თუ ეგ საძაგლობა ჩაიდინეს.

**ქემ-ბეგ** ნუ გეშინიან, ნინო, ოსმალოს ჯარის-კაცები შენ ხელს არ გახლებენ მათ სურთ მხოლოთ ჩვენი დახსნა ამ უბედურებისაგან. დამშვიდდი, ისინი ჩემთან მოდიან, მე ეხლავ ბრძანებას გავცემ, რომ არავის ჩელი არ ახლონ. (გადის.)

**ნინო.** დედა, შენი ჭირიმე, როგორ მეშინიან მაგ ურჯულოების; თითო მათი შეხედვა ადამიანს გულზე შემოეყრება, ბინძური, დაგლეჯილი, დაფლეთილი ჯარის-კაცები ჩვენ სოფელს მუსრავენ, ღმერთო ჩემო, სადაა ქართველი ჯარი! რატომ არ ებრძვის?

**დედა.** დაჩუმდი, შვილო, არა წამოგცდეს რა, ჩვენი ოჯახი ოსმალოს ჯარის ბინაკათაა გადაქცეული, თავი დაჭერათ შეინახე. იცოდე, ღმერთია მოწყალე იგი გვიხსნის ამ უბედურ ტანჯვისაგან. მე გავიგე, სამტრედიაში დიდ ძალი ჯარია დაბანაკებული, გურიაც ჰკრებს ჯარს ამ დღეებში თბილისიდან ჯარს მოელიან და ისინი გვიხსნიან. დამშვიდდი არა წამოგცდეს —რა..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო. დედა, დავიმალები სადმე, თორემ თუ ის უჯიშოები დავინახე, მაშინვე გული გამისკდება.

დედა. წავიდეთ, შვილო, წალოში დავმალო. (გადიან)

3

ქემ-ბეგ და ოსმალოს აფიცერი.

ქემ-ბეგ. ეს კარგია, რომ აქ არვინ არის; აი ესე გახლავთ ჩემი ოჯახი, აქ შეგიძლიანთ ცოტა მოისვენოთ და შემდეგ ქოროხს გავემგზავროთ.

ოსმ აფიც. გმადლობთ, გმადლობთ. თქვენ გეტყობათ, კარგად სცხოვრობთ.

ქემ-ბეგი. მაჰმადის შეწევნით არა მიშავს-რა. მთელს აჭარაში ჩემზე მდიდარი ბეგი არც ერთია; სახნავ-სათესი მიწები ბევრი მაქვს, ჩაქვას ხეობაში ოთხი ქცევა ვენახი მაქვ' ჩაის ბუჩქნარები და სხვა... ასე, ორი ათასამდე მიმიწვდის ხელი, და ეხლაც უფრო წარმატებას მოველი, როგორც გავიგე დიდებული ხელმწიფის ბრძანებაა.

ოსმ აფიც. დიახ, დიახ; ბრძანებაში ასე იყო მოხსენებული: ქემალბეგი ინიშნება ბათუმის კამენდანტათ, თუ ბათუმი ავიღეთ, შენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

ქემ-ბეგ. თქვენ დარწმუნებული იყავით, რომ ბათუმი ჩვენია. გუშინ, როგორც დამასმინეს, სამტრედიიდან ჯარია წამოსული და დილით აჭარას შემოერტყმევა. (დაცინვით) რა სულელები არიან! იმათ ჰგონიათ, ქოროხში მე კი არ ვარ გამაგრებული? თქვენ დარწმუნებული იყავით, რომ თუ თქვენ იქიდან სიმაგრეებს ააფეთქებთ, ჩვენ აქედან შემოგეშველებით, მაშინ მთელი ჯარი შიგ მოჰყვება და გამარჯვება ჩვენი იქნება.

ოსმ. აფიც. შენს პირს შაქარი ქემალ ბეგ. თქვენი გვარეულობა ოსმალეთის ისტორიაში ამოუშლელია, და მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც ისეთივე პატივისცემას დაიმსახურებთ დიდებულ ხელმწიფის წინაშე როგორც თქვენი წინაპრები. ჩვენი ხელმწიფე თქვენთვის არას დაიშურებს რა, ჯერხნობით თქვენ ბათუმის კამენდანტი ბძანდებით და გილოცავთ.

ქემ. ბეგ. გმადლობთ, დიდათ გმადლობთ, მაგრამ თქვენ წარმოდგინეთ მე მარტო ბათუმი არ მაკმაყოფილებს. მე მსურს ჩაქვაც ავიღოთ, ქობულეთიც, შემდეგ ოზურგეთს მოუვლით და მთელი გურია ჩვენს ხელში იქმნება.

ოსმ. აფიც. ოჰო?!. შენ, როგორც გეტყობა, შორს წასულხარ: ეგ უფრო კარგია რაც მეტს ქალაქებს დაიპყრობ მით ძლიერი იქნები. ეს უნდა გახსოვდეს, ჩემო ქემოლ-ბეგ რომ თუ გინდა ძლიერი ერთიანობა შექმნა, ყოველვის უნდა ეცადო, შენს გვერდით სუსტი სახელმწიფო იყოს. თუ ჩვენ ეხლა მარტო ბათომს დავყაბულდით, რამდენიმე წლის შემდეგ მოსალოდნელია ქართველები კისერს მოიფხანენ და ადვილათ გაგვრეკენ აქედან, მე ვიცი მათი ბრძოლის ამბავი, მარდნი არიან ომში ქებულნი არიან.

ქემ-ბეგ იმისთვის ვსთქვი, თუ გურულებს ოზურგეთი დარჩათ, ისინი დაუძინარი მტრები იქნებიან ჩვენი. ოზურგეთი გასაღებია ბათუმისა და მეც მისთვის მინდა ოზურგეთიც დავიპყრო. წინეთ, როდესაც ქართველებს ომი ჰქონდათ ოსმალებთან, ოზურგეთიდან ჯარი გადაჰყავდათ ორ—პირს იქიდან რიონს შემოუვლიდნენ და მოულოდნელათ თავს ეჩხოდნენ. ეგ მე უკვე გათვალისწინებული მაქვს, ქართველები ქებულნი არიან ომში, და დღეს როგორც უძლურნი, საჭიროა მთელი ძალა გამოაცალოთ, რომ ოსმალო მუდმივ მოსვენებული იყვეს ქართველებისგან.

ოსმ აფიც. დიდი გამჭრიახი ყოფილხართ, ქემალ-ბეგ; ეგ საუბარი ყველა უნდა აღვნიშნო ქაღალზე და უფროსს სარდალს შევატყობინო რათა რაც შეიძლება, ჩქარა გავათავოთ ომი, თორემ მოსალოდნელია ჩვენს ჯარში არეულობა და მაშინ სულ დავიღუპებით... ამ ოთხი წლის განმავლობაში დაიღალა ჩვენი ჯარი; ცალკე შიმშილი და ცალკეც ტანისამოსის მხრივ. ჩვენი სახელმწიფო დაღარიბდა, და რაც დახმარებას აღმოგვიჩენ, უფრო დიდი ჯილდოს მიიღებ.

ქემ-ბეგ. ეგ თქვენზეა დამოკიდებული.

ოსმ აფიც. ჩემზე კი არა თქვენზეა.

ქემ-ბეგ. თუ კი რამე შემეძლება, თქვენი ყურ-მოჭრილი ყმა გახლავართ, მთელი აჭარა ფეხზე დგას, თქვენს განკარგულებას მოელის; თუ უბრძანებთ, ისინი მზათ არიან თქვენ სამსახურისთვის დაიხოცონ და მეც მათთან ერთად, როგორც ბათუმის კამენდანტი; ახლა დავამტკიცებ, როგორ უნდა სამსახური ასეთი ჯილდოს შემდეგ.

ოსმ აფიც. მაჰმადი რომ აქ მთავარსარდალი იყვეს, მაგ სიტყვებისთვის შუბლში გაკოცებს; ეგეთ ერთგულ მსხვერპლს არ მოელოდა ოსმალეთის ხელმწიფე თქვენგან; მას სულ სხვა აზრი ჰქონდა აჭარაზე..

ხ. ილორელი.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს განთავისუფლების მოღვაწენი

### 1832 წ. „ფარული საზოგადოება“

(გაგრძელება. იხ. 1918 წ. თეატ. და ცხოვ. № 14)



**ივანე ხელაშვილი**

ივ. ხელაშვილი დაიბადა 1775 წ. პირველდაწყებითი სწავლა მიიღო თავიანთ სოფლის მღვდელთან, მერე თელავის სემენარიაში. 1795 წ. ეს სემენარია რომ დაიკეტა, ი. ხელაშვილი თბილისს ჩამოვიდა, სადაც იმ დროს ცხოვრობდა თელავის სემენარიის რექტორად ყოფილი დავით მესხიევი.

ივ. ხელაშვილი დავით რექტორთან იწრთვნებოდა ამ რექტორის დახმარებით გაეცნო იმ დროის ყველა ბატონიშვილებს, მეფე ერეკლესაც კი, ანტონ კათალიკოსს და სხვას. იგი ყველას წინაშე იქმნა ცნობილი, როგორც ნიჭიერი ყმაწვილი კაცი. ამიტომ ამას ბატონიშვილებიც ეხმარებოდენ ნივთიერად.

1801 წ. დამდგეს საქართველო რუსეთს შეუერთდა, 1802 წ. ქართველთ ბატონიშვილებს რუსეთში უწყეს გადასახლება. ეს საქმე ივ. ხელაშვილს არ მოსწონდა. ბატონიშვილების გადასახლების შემდეგ იგი დაუახლოვდა ანტონ კათალიკოსს 1807 წ. ანტონ კათალიკოსმა მას ჩოხა უკურთხა, ბერად შემოსა. მცირე ხანს შემდეგ ივ. ხელაშვილი თვის მფარველ ბატონიშვილებთან, მოსკოვს წავიდა 1808 წ. 1808 წ. მოსკოვის აკდემიაში შევიდა. ამ დროს მან რუსული კარგათ იცოდა (თელავის სემენარიაში რუსულს კარგად ასწავლიდენ თურმე)

აკადემიაში სწავლა დაამთავრა 1812 წ. აქ მის ცხოვრებას ხელი შეუშალა ნაპოლეონის ომებმა, ამიტომ იგი თვის მფარველ ბატონიშვილებთან ერთად პეტერბურგს გადასახლდა. დაიწყო ქართული ძველი და ახალი წიგნების კითხვა, საქართველოს ისტორიის შესწავლა და სხვა. სხვათა შორის აქ ამ დროს მან დასწერა წიგნები „კალმასობა“ (რომელიც მერე ივ. ბატონიშვილმა მიითვისა), და „რონინი,“

ივანე ხელაშვილს ყველაზე უფრო აინტერესებდა, თუ საქართველოს სამეფოს როგორ მოეღო ბოლო; ეს ქვეყანა და ხალხი რუსებმა როგორ ჩაიგდეს ხელში. ამისთვის იგი დღე და ღამ კითხულობდა სხვა და სხვა წიგნებს, სამეფო ბარათებს და სხვებს, ყველაზე მეტიკი მისთვის ის გარემოე იყო საინტერესო, რომ საქართველოს შესახებ, ნამეტურ შეერთების გამო ზეპირის ამბებით მოუთხრობდნენ, რაც ერთობ დიდს გავლენას სტოვებდა მასზე.

ბატონიშვილები წყევლით იგონებდენ შეერთების ხანას და ამ შერთების მომხერხებელ გრ. ჭავჭავაძესაც სასტიკათ კიცხავდენ; ესენი თავიანთ ცხოვრებას და საქართველოდგან გადასახლებას თითქმის ცრემლით მოიგონებდენ. ამ გარემობით ი. ხელაშვილი დიდი უმადური გახდა რუსეთის მთავრობის: საქრისტიანო იმპერიამ რათ გააუქმა საქართველოს სამეფოვო!

ივ. ხელაშვილი თითქმის მუდამ დღე დაიარებოდა ბატონიშვილებთან და საუბარს მართავდა საქართველოს შესახებ. ხან თითონაც მართავდა კრებებს თავის სახლში და აქ ჰქონდა სჯა-ბაასი მის შესახებ თუ საქართველოს სამეფო 1800 წ. ბოლოს რა მოტყუებით ჩაუვარდა რუსეთის იმპერიას ხელში; მისი საგონებელი გახდა მარტო საქართველო და ამიტომაც ივ. ხელაშვილი მიეცა ფიქრებს, თუ საქართველოსთვის როგორ ეშველნა და ქართველ ბატონიშვილებს რუსეთის ტყვეობისგან თავი როგორ ეხსნათ.

ივ. ხელაშვილმა თავისი აზრი სხვა ბატონიშვილებსაც უამბო. ყველამ სიამოვნებით მოისმინა მისი განზრახვა და მოილაპარაკეს იმაზე, თუ საქართველოს როგორ ეხსნა თავი რუსეთის მონობისგან. ამ საქმის განხორციელება მოითხოვდა დიდს თავ-დარიგს დიდს სამზადისს და საქმის მოწყობას, ამიტომაც ი. ხელაშვილმა თავის ამხანაგთ შორის განიძრახა ფარული საზოგადოების დაარსება, შესაფერი წესდებაც დაიწერა და 18 მაისს 1822 წ. ბატონიშვილებსაც გააცნო. ეს ის წესდება, რომელზედაც შემდეგ აღორძინდა „ფარული საზოგადოება“ რომელიც განცემულ იქმნა 1832 წ. ფალავანდოვისგან ამ წესდებას შემდეგ გაგაცნობთ. **ზ. ჭ.**

**პეტრე სიდამონიძე—პ. სიდამონი**



8 დეკემბერს მიწას მიაბარეს ჯერ კიდევ ახალგაზდა პეტრე სიდამონიძე. იგი იყო ერთი იმ მუშაკთაგანი რომელნიც სასარგებლო საქმეს ჩუმად ხალხის დაუნახავად აკეთებენ, პეტრე ბავშობიდანვე გატაცებით უყვარდა თეატრი. თექვსმეტი წლის იქნებოდა, როდესაც სცენარიუსობდა და სუფლიორობდა დაიწყო ავლაბრის წრეში და სიკვდილამდინ არ მოშორებია, მწერლობაშიც მონაწილეობდა. ხშირად ათავსებდა „თეატრი და ცხოვრება“ში სომხურიდან თარგმნილ ეინიატიურებს, ულმობელმი სიკვდილმა 22 წლის ჭაბუკს უდროვოთ მოუსპო სიცოცხლე, მშვიდობით ამხანაგო ამხანაგო: შენი ხსოვნა სამარადისოდ იქნება მეგოგართ შორის. **ბ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ისევ ძველის ხიდი

ავეტიქა. ტო, საქო! საქო!

საქო. ჰა, რა ამბავია? იცი რამე?

ავეტ. ვა! ვიციდა ეგრეთი? არ გეებნებოდი, ბოლოს ჩვენია მეთქი?

საქო. სთქვი რაღა? რა არის ჩვენი?

ავეტ. ყველაფერი; სომხეთიც ეს ქალაქიც და ანგლიჩანებიც!

საქო. აფერუმ ავეტიქჯან, ეგ კარგი საქმეა!

ავეტ. არა და! ძალიან გაცვეთილი კი ყოფილა, იმ ხიდის ამფეთქებელი პოლკოვნიკი ისე აურდაურია დავთრები იმ შენ მესხიოვის სუდიებს რომ თითონაც არ იციან რაქნან! მაშ!

საქო. ჰო!

ავეტ. ეუბნება აქ დაშნაკელები რა შუაშია, მე ანგლიჩანებმა მითხრეს ააფეთქეო. მეც ავაფეთქეო. თუ გინდათ წაღით და მოსთხოვეთ პასუხიო. თანაც იცი რას ეებნება?

საქო' რაო?

ავეტ. პ ქალუ'ტა, ნუ მაწუხებთ, მე ავათა ვარ, აქ სირულის თავი არ მაქვსო. ექიმებიც ჩვენები ყოფილან შაუმოწმებიათ. ამას ჯდომა არ შ უძ იან ბალიშები დაუდეთო.

საქო. მერე იმათ რა უთქვამთ?

ავეტ. რა უნდა სთქვან? თვალებს კი არ მოითხრიდენ! ამდგარან და ისე ექცევინ როგორც მინისტერს.

საქო. ამობენ ქართველების ექიმებს რო გაუშინჯიათ, უთქვამთ ამას არაფერი სტკივა, იგონებსო!

ავეტ. ეგ არაფერი მაგათ ვინ დაუჯერებს. რაკი ანგლიჩანები ჩვენსკენ არიან, ეხლა საქმე ზეთივით წავა!— არა და! აქამდინ ვერ გაუგიათ ჩალუხჩიანი რა პარტიის კაცი! თან ისიც კი იციან რომ დაშნაკელების კლუბი იმას გაკათებულია და თავიც ის არის.

საქო. ერთი სიტყვით საქმე დამშია ავეტიქჯან რაღა! ღმერთმა უშველოს ამ ანგლიჩანებს, ეგენი რომ არა ყოფილიყვნენ ჩვენი საქმე სიქიოსკენ წავიდოდა აბა კუდი ამოაძუებინეს ამ ქართველებს ჰა! (აჯავრებს) საქართველო, საქართველო, აზირ: მერ ჰაიასტან, ჰაიასტან!

ავეტ. ჯერ ეს ომიც მოვიგოთ! ზოგი მაშინა ნახონ ამ ქალაქის ქუჩებში რა პრაზნიკი გავმართოთ!.. ისეთი ილუმინაციები ავანთოთ, რომ მახათის გორამ მამადავითის გორას პროშტი უყოს. მაშ!

საქო. (ჩაფიქრებით) არ ვიცი ავეტიქჯან; მითომ ჩვენები აჯობებენ?

ავეტ. შე ოხერო! შენ კიდე გული გატეხილი გაქვს? რაღა უკლიათ?! როგორც რომ ცოტა წინ წამოვლენ ჩვენები, აქ მაშინვე ბუნტი იფეთქებს. სულმზათ არის საქმე. (ყურში) გლავნი შტაბი აქარის ჩვენი ეე! ქკუაზე მოდი!

საქო. ჰო.

ავეტ. მაშ! არადა ამათ სჯერათ რომ სომხებსაც იმდენი პარტია ჰყავთ, რამდენიც ამ სულელებს. ის კი არ იციან, რომ რის დემოკრატი, რის პლუტოკრატი რის დაშნაკცაკანი, რის ჰნჩაკისტი. რის ფლავი რის ბოზბაში! სუყველანი სომხები ვართ. ყველას ერთი რამე გვინდა. მაშ ეს ქალაქი ამათ დაუთმობთ? ეს ასე თვალების ასახვევად ჩვენც პარტიობანას ვთამაშობთ (ყურში) ჩვენები ამობენ ჩვენი ტახტის ქალაქი ეს თბილისი უნდა იყოსო! გესმის?

საქო. ეგ მეც ვიცი!

ავეტ. ჰო და თუ იცი, მანდ იდექი!

საქო. ვთქვათ ომი ვერ მოვიგეთ და ქართველებმა გვაჯობეს, მაშინ ხომ ვირს ტალახიდან ვეღარ ამოვიყვანთ.

ავეტ. შენ მაგის ჯავრი ნუ გაქვს! ანგლიჩანები მაშინვე ეტყვიან: ციც! გეყოფათ თავი გაანებეთ, თორემ ჩვენ ჩაგ ჩუმებთო! მაშ როგორ გგონია! გეებნები, საქმე სულ ყაიდაშია გაკეთებული

საქო. შენ პირს შაქარი ავეტიქჯან: მაშ ვიქეიფოთ! ვიქეიფოთ!

ავეტ. ვიქეიფოთ, მაშ! არ გვიყო ტირილი (მღერის არშინ მალ-ალანის ხმაზე)

შენ საქო! შენთვის იყავ, საქმე მოგებულია,
ეს ქალაქი ჩვენ დაგვრჩება იმათ წაგებულია.

საქ. ჩვენი დაშნაკის პარტია ეხლა მოგებულია!
ანგლიჩნები ჩვენსკენ არი, საქმეც გაჩარხულია

ავეტ. მთელი ქვეყნის სომხობა ყველა ჰაიასტანია
პარტიმარტი ჩვენ არ ვიცით განგებ მოგონილია

ერთ. ძეგვის ხიდის ლათაებიც ჩვენი მოწყობილია
ამ ტუტუცებს კი გონიათ ანგლიჩნების ბრალია

ალ. ბაქრაძე

## ქართველ ერს

ქართველო ერო, აღსდეგინ,
აბჯარს მოჰკიდე ხელია,
ემგერე, ნუღარ გვიანობ
კარს მოგდგომია მტრია.

ჰკარ, მოკალ, ნუღარ დაინდობ
ვითა შხამიან გველია,
თავი გაუპე ხმალითა
ლეშით მოჰფინე ველია.

ჰკარ, მოჰკალ, სისხლი ადინე,
როგორც ნათქვამი ძველია,
მუსრი გაავლე, რომ მიხვდეს
ქართველთან ბრძოლა ძნელია!

კ. მარტვილელი



**გიგო დავითისძე ნიკოლაშვილი**

ხაშმელი ჯარისკაცი (,,ვოლნოოპრედელიაუშჩი'') სანაინთან პირველ შეტაკებაში უკვალოდ დაკარგული თუ ვინმემ იცის რამე—ხაშმზე მშობლებს აცნობოს

## ქეთ ლი კარაპეტა

(თანამედროვე იგავ-არაკები)

(გაგონილი)

იყო ერთი ღარიბ დატაკი კარაპეტა.

ხშირად შეჰღაღადებდა ხოლმე ღმერთს:

—რა არის ღმერთო, ერთი წყალობის თვალით ჩემზედაც გადმოიხედო. მეც ადამიანური ცხოვრება მომანიჭო, რომ ძმათ შორის თანასწორად ვიხსენიებოდე.

ერთხელ კარაპეტას გამოეცხადა ანგელოზი და უთხრა:

—რაც გინდა ინატრე, მხოლოდ ეს იცოდე, რასაც შენ მიიღებ ორი იმდენი შენს ძმას მიეცემა

ფიქრობს კარაპეტა: ერთი მილიონი რომ ვინატრო და მივიღო, ორი მილიონი ჩემს ძმას მიეცემა, ორი ვინატრო—ოთხი ჩემს ძმას მიეცემა არა, არა! ეს არ შეიძლება,.. ის ჩემზე მდიდარი გახდეს? ახ ღმერთო, ეს რა ცეცხლში ჩავვარდი: არა მქონდა კაი იყო, მექნება და ვაი იქნება რადგან ჩემი ძმა ჩემზე მდიდარი შექნება; არა ეს ჭკუაში არ მოდის.

ფიქრის შემდეგ ძლივს რაღაც მოიგონა, სიხარულით წამოიძახა: დადექ, ვიპოვე სწორედ ასე ვთხოვ ღმერთსა.

ამ დროს ანგელოზიც მოევლინა.

—ჰა, რა ჰქენ კარაპეტ?

—მოვიგონე ანგელოზჯან: ღმერთს რაცა გსთხოვო ამისრულებ?

—უეჭველად!

—მაშ იცი რა გითხრა ანგელოზჯან: ღმერთს ვსთხოვ ერთი თვალი გამომთხაროს

—ეგ რადა? ჰკითხა განცვიფრებულმა ანგელოზმა.

—ეგ იმიტომ, ანგელოზჯან, მე რო ერთ თვალს გამომთხრის ჩემ ძმას ორივე თვალს გამოსთხრის და ჩემი საქმეც გაიმართება.

უსუფ-უმუთ

## ყურ მოჭრული

ქ. თბილისის სამმართველოს კარებთან ერთი მოქალაქე ეკითხება მეორეს:

—ნეტა ქალაქის თავმა ქართული იცის?

—რათ? შე ჟარის თავო შენი თავი სადა გგონია?. ქალაქის თავმა და ამ დროში ქართული არ იცოდეს? ჰა, მეორედ აღარ წამოგცდეს!



**ათანასე (ათია) გრიგოლისძე ჭიაბრიშვილი**

ხაშმელი, ბოლნის ხაჩინში მამაცობის გამოჩენისთვის ჯვარზე წარდგენილი.

# წვრილ ი ამბები

**ქართულმა სამუსიკო საზ-ბამ** კვირა დილით, იანვ-26 სახალხო სახლში გამართა საბავშო სამუსიკო დილა, რომელსაც აუარებელი ბავშვობა დაესწრო ქალაქის დაბალ სასწავლებელთაგან უფასოდ მოწვეული. შეასრულეს მუსიკალური ნაწარმოებნი სიმღერები, დასდგეს „დედა და შვილი" (ცოცხალი სურათები) და სხ. ფიდელმანის 12 წ. ბავშვმა ყაი შთაბეჭდილება მოახდინა სკრიპკაზე დაკვრით, აგრეთვე კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს გოლიჩიძის ასულმა მთწაფემ და თოიძემ-სიმღერით. განზრახულია ასეთი დილები კიდევაც გაიმართოს. მიზანია მშვენიერია და ვუსურვებთ წარმატებას.

**ოპერა დემონი** ქართულად ალ. წუწუნავას რთქისორობით სახელმწიფო თეატრში წარმოდგენილი იქმნა იანვრის 22. ოპერა ახალის მიზანსცენებით იყო შესრულებული და წუწუნავას თვისებურება-მხატვრული გემოვნება აქაც გამოჩნდა მოლოდინს გიდააჭარბა ახალგაზდა მსახიობმა ინაშვილმა (დემონი) საუცხოო იყო ივ. სარაჯიშვილი, პოეტური იყო ქ-ნი ბახუტაშვილი-შულგინოსი [თამარი] ტიპიურნი იყვნენ ისი კი, კურბატოვი და სხ. მშვენიერ-მხატრული იყო მეჯლისი, ბაუერზაკსისა და ალბერტოვის ცეკვამ აშატაში გამოიწვია, უფრო სტილიურ—მოხდენილად იცეკვეს ელ, ანდრონიკაშვილმა და ფავლენიშვილმა, ქალთა შორის ქართული ტიპეები არ სჩანდა, ჩაცმულობაც თუმცა ნხატვრული იყო, მაინც გურულს უფრო მოგვაგონებდა,—ოპერის დაწყებამდე შეასრულეს ქართული ინგლისური და ფრანგული ჰიმნები. რაიცა მხოლოდ დამსწრე საზოგადოებამ ფეხზე ადგომით მოისმინა, საღმოს დაესწრენ ინგლისის წარმომადგენელნი.-წუწუნავა და ვვლახვი ტაშით დააჯილდოვეს. სასურველია დროით გვაჩვენონ ნამდვილი ქართული-ეროვნული ოპერები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**დიდი სალიტერატურო-სამხატვრო საღამო** ქართულ კლუბში ,,თეატრი და ცხოვრების'' სასარგებლოდ გაიმართება კვირას, 23 თებერვალს.

**მოქალაქენო** არ დაგავიწყდეთ, თებერვლის **2**, კვირას, საქალაქო არჩევნებია: მიდით თქვენ-თქვენს ნაწილებში დ კენჭი ჩააგდეთ.

**ქართველ მსახიობთა** კავშირი განსაკუთრებით „სინათლე"—თი უმასპინძლდება საზოგადოებას პიესა უკვე მერვედ-თუ მეცხრედ დაიდგა, ხალხიც მრავლად ესწრება. სჭირიაა ახალი პიესები.

**დრამატიული სტუდია** ქართულმა კლუბმა შეიფარა, იან.2 არტ. საზ. თეატრში წარმოად. „ღალატი''

**კულტურის და შრომის კავშირმა** (ყოფილ ქართულ კულტურის მთყვარულთა საზოგადოებამ) შეიძინა შტემპელების ქარხანა და მცირე სწრაფლმბეჭდავი ,,გუტენბერგი'' [ნიკოლოზის ხიდი № 21]

**შემდეგ ნომერში** დაიბეჭდება ბორჩალოს ეპოპეა (წერილები ბრძოლის ველიდან), მონაწილესგან მოწერილი, სურათებით.

**ახალი პიესა** ,,ვაი დამარცხებულთ!'', I მოქ. დასწერა ს. ერთაწმინდელმა. შინაარსი: ადებულია ქართველ-სომეხთა ომიდან.

**ქუთაისში შესდგა** ქართული სამუსიკო საზოგადოება. დაწვრილებით შემდეგ.

**რ. გოგნიაშვილი** სწერს ახალ ოპერას.

**ხმების შეჯიბრება** სტიპენდიის მასალებად გაიმართა რუს. კონსერვატორიაში. გაიმარჯვა ბექანიშვილის ასულმა და კვალიაშვილმა.

**ქართულ უნივერსიტეტში** დაფუძნდა ქართულ მუსიკის კათედრა, ლექტორად მიწვეულია კომპ. კ. ფოცხვერაშვილი,

**გადაიცვალნენ** ქართ. სცენის დამსახ. მსახ. გ. გედევანოვი (მირაღიანი] და სცენის მოყვარე სერგო პეპაეოვი, დაწვრილებით შემდეგ ნომერში.

**შეცდომის გასწორება.** 1918 წ. ჟურ. „თეატრი და ცხოვრება''—ს მეო-14-ე №-ში დაბეჭდილ ლ. ძიგურის ,,ცრემლები ადამიანისა''—ს უნდა დაემატოს ,,ლეგენდა გაიოსი''

**ვ. შალიკაშვილის გარდაცვალების** გამო.

ფოთი. ულრმეს მწუხარებას გამომსთქვამთ ჩვენი ცნობილი და დამსახურებული მსახიობ შალიკაშვილის გარდაცვალების გამო. ფოთის სოციალ დემოკრატთა ქალთა ჯგუფი.

ჭიათურა ჭიათურის დრამატიული საზოგადოება და ვალიკოს კალთაზე აღზდილი სცენის მოყვარეთა წრე სტირის და იგლოვს დიდ მსახიობს, კარგ რეჟისორს, ნიჭიერ დრამატურგს, მოხდენილ იუმორისტს და შეუდარებელ დარისპანს,—კრება. გამგეობა.

ხაშური. გული მოგვიკლა უანაგრო მუშაკის და ჩვენი მასწავლებელის ქართული სცენის თვალსაჩინო მოღვაწე მსახიობის ვალერიან შალიკაშვილის სიკვდილმა. ჩვენს უსაზღვრო მწუხარებას უერთებთ მთელი ქართველი ერის კვნესას. ხაშურის სცენის მოყვარეთა პროფ. კავშირის პრეზიდიუმი.

**რედაქციისგან!**

ძვირფასო მკითხველო! გასული წლების განმავლობაში შენის თანაგრძნობით და დახმარებით გამოდიოდა ჩვენი ჟურნალი. მართალია, ბოლო ხანებში ჟურნალი წესიერად ვერ გამოდიოდა, ზოგ ხელის მომწერს შეიძლება რიგზედაც არ მისდიოდა ნომერი, მაგრამ რედაქციას მაინც შენი თანაგრძნობა არ აკლდა: ხშირად შემოწირულებითაც გვეხმარებოდი, რადგან იცოდი, რედაქციას რა მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა.

ამ წლიდან ჟურნალის გამოცემა მუშვიდე წელში გადადგა და შენივე იმედით ვიწყებთ.

## შემოწირულება

ჟურნალ ,,თეატრი და ცხოვრების'' სასარგებლოდ

| | |
|---|---|
| სპრიდონ ოტ. ბენდუქიძემ | **500** მან |

შტ.-კაპიტან ფანჯაკიძის მიერ შეკრებილი:

| | |
|---|---|
| 1) შტ.-როტმისტრ შ. ნიძემ | —50 მან. |
| 2) პოდპოლკოვნიკ ფურცელაძემ | —25 მან. |
| 3) შტ.-კაპიტან ფანჯარიძემ | —20 მან. |
| 4) პორუჩიკ ბაქრაძემ | —20 მან. |
| 5) „ ხმალაძემ | —20 მან. |
| 6) პორუჩ. მესხიმ | —10 მან. |
| 7) „ ხვადაგიანმა | —10 მან. |
| 8) სილიბისტრო ჩიგოგიძემ | —10 მან. |
| 9) სიო კალანდაძემ | —10 მან. |

ახალ წლის ღამეს ვ. ტურაბელიძის სახლში ვახშამზე ჟურ. „თეატრი და ცხოვრების" ფონდის სასარგებლოდ მოგროვდა სამას ოცი მანეთი, რასაც რედაქციას ვუგზავნით, შემოწირველთა სიითურ.

| | |
|---|---|
| 1) ვასო. ტურაბელიძემ | 100 მან. |
| 2) ვარდენ ავალიანმა | 50 მან. |
| 3) ჭიჭიკო მატრაძემ | 100 მან. |
| 4) ვასო არაბიძემ | 50 მან. |
| 5) გენერ. იასონ ახვლედიანმა | 10 მან. |
| 6) ანნა ავალიანმა 10 მ. დარია ახვლედიანისა | |
| მოწაფე გოგინოვმა | 5 მან. |

შემომწირველთ გულითად მადლობას ვუძღვნით რედ.

# თეატრი და ცხოვრება

ერთადერთი სახელოვნო-სალიტერატურო-სათეატრო სურათებიანი ჟურნალი, წელიწადი მეშვიდე გამოცემისა წლიურად 25 მ, ნახევარ წლით 15 მ. ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში-თბილისი, ბაზრის ქ. № 20, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ მეწიგნების რიგზე. ფოსტით: თბილისი, რედ. „თეატრი და ცხოვრება" --იოსებ იმედაშვილს.

# სახალხო საქმე

ღირს 1919 წლისთვის: 1 წლით 140 მან., ნახევ. წლით 75 მ., სამი თვით 40 მან., 1 თვით 15 მან. ნომერი ღირება სოფლად და ქალაქად 80 კ. პ. რკინის გზის სადგურზე 1 მან. ხელის მომწერთ ვადამდე ფასი არ შეეცვლებათ რანაირადაც უნდა შეიცვალოს გაზეთის პირობები. ტფილისი, ფოსტის ყუთი 190.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი